



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მობილური მედია საშუალებების გამოყენება კითხვის უნარ-
ჩვევების გასაუმჯობესებლად ინგლისურის როგორც უცხოური ენის
შემსწავლელზე ორიენტირებული მიდგომით სწავლისას

თაჰსინ იაღჯი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო დისერტაციის
ავტორეფერატი

თბილისი, 2016

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ფიფია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი

ექსპერტები

ასოც. პროფ. დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე -----

ასოც. პროფ. დოქტორი ნინო თვალჭრელიძე -----

ოპონენტები

ასოც. პროფ. დოქტორი თამარ მიქელაძე.....

ასოც. პროფ. დოქტორი ნინო ნიჟარაძე.....

ასოც. პროფ. დოქტორი სელამი აიდინ.....

შესავალი

ათწლეულების მანძილზე, განათლების სისტემები ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ერთად უფრო განვითარებული გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიას უდიდესი გავლენა აქვს საგანმანათლებლო ინოვაციებზე. აქედან გამომდინარე, განვითარებულმა ტექნოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც ენის შესწავლის საკითხში, ისე ზოგადად სწავლების პროცესებზე როგორც დამხმარე სასწავლო ან ადმინისტრაციულმა საშუალებამ.

ბოლო დროს განვითარებულმა ინტერნეტ და უკაბელო ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო პედაგოგებს და კურსკულუმის განმავითარებლებს, შეექმნათ თანამედროვე საკლასო გარემო. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები ცდილობენ, დანერგონ ეს ინოვაციები საგანმანათლებლო გარემოში. დღესდღეობით ეჭვგარეშეა, რომ პიროვნებას შეუძლია განახლებული კვალიფიკაციებით გამოიყენოს ახალი სმარტ („ჭკვიანი“) მოწყობილობები, მობილური ტელეფონები და პერსონალური კომპიუტერები.

საყოველთაო და მრავალმხრივ გამოყენებადი სმარტ მოწყობილობები წარმოადგენენ ძალიან ეფექტურ საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს. ისინი კარგ საშუალებას წარმოადგენენ დროის დაზოგვის თვალსაზრისით და ხელს უწყობენ სწავლებისა და სასწავლო წყაროების მარტივად ხელმისაწვდომობას არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვის. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომხდარმა დიდმა რევოლუციამ უზრონველყო კომუნიკაციის დიდი არეალის შექმნა სტუდენტებისათვის და ლექტორებისთვის, მისცა მათ საშუალება, გაიზიარონ ინფორმაცია და ითანამშრომლონ. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გავრცელებული გახდა მობილური სმარტ მოწყობილობები და მათი გამოყენება უკაბელო ინტერნეტის საშუალებით უნივერსიტეტში (Motiwalla, 2007). ეს სწრაფი, კარგად აღჭურვილი სმარტ მოწყობილობები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თვისუფლად ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერი სახის მათთვის საჭირო ინფორმაციაზე.

2004 წელს Facebook-ის შექმნამდე სოციალური მედიის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ მცირედენ კვლევები ხორციელდებოდა. არასაკმარისი ინტერენტ წვდომისა და პორტატული ელექტრონული მოწყობილობების გამო, ეს საკითხი ნაკლებად პოპულარული იყო. მას შემდეგ, რაც სმარტ ტექნოლოგიები განვითარდა, სოციალური მედიის პლატფორმები ძალიან პოპულარული გახდა როგორც მოზარდებს, ისე ახალგაზრდების შორის. ეს სოციალური მობილური მედიის ინსტრუმენტები ეხმარებიან სტუდენტებს ისწავლონ, მოახდინონ ციფრულ წყაროებზე წვდომა, ჩამოტვირთონ, შეინახონ და მართონ მათ მიერ მოძიებული წყაროები სასწავლო გარემოს ნებისმიერ ადგილასა და დროს (Sharples, Corlett, & Westmancott, 2002).

მობილური მედიის მაღალი პოტენციალი აისახება ელექტრონული ან მობილური სასწავლო სტრატეგიებთან ერთად მსოფლიოს მასშტაბით ალტერნატიული საგანმანათლებლო პლატფორმის პოტენციალის გამოყენებით. არ არსებობს შეზღუდვა მობილური სასწავლო გარემოს დროისა და ადგილის თვალსაზრისით. მობილური სწავლება გვთავაზობს ავთენტურ მასალებს, პროექტზე დაფუძნებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტების ჩართულობის ინტერაქტიულ მეთოდებსა და ა.შ. იგი სრულიად შლის საკლასო ოთახის კედლებს და უზრუნველყოფს გრძელვადიან სწავლებას. მობილური ხელსაწყოების მისაწვდომობა მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ წერტილში გვთავაზობს ავთენტურ საგანმანათლებლო მასალებს, პროექტზე დაფუძნებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

სოციალური მედია არის ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყველა ონლაინ პლატფორმისა და აპლიკაციის განხილვის კონტექსტში, არა მხოლოდ პერსონალური კომპიუტერებისთვის, არამედ ისეთი სმარტ მოწყობილობების გამოყენებისთვის, როგორცაა iPad ან Samsung ტაბლეტი პერსონალური კომპიუტერი და სმარტ ტელეფონები. სოციალური მედიის მოწყობილობები გამოიყენება კომუნიკაციისთვის, მონაცემთა გაზიარებისთვის, თანამშრომლობისა და ონლაინ რეჟიმში ყოფნის დროს სხვადასხვა მიზნებით ინტერაქციისთვის. მაშასადამე,

სოციალური მედია უზრუნველყოფს ვებ-ინსტრუმენტების ფართო სპექტრს, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია ადამიანებისთვის, მათ შეუძლიათ ისაუბრონ, შექმნან და გაიზიარონ ნებისმიერი სახის დოკუმენტი, გაუწიონ რეკომენდაცია, მოახდინონ აზრის ინტერპრეტაცია და რეაგირება მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

სოციალურ მედიას სხვადასხვა განსაზღვრება აქვს. ბუეტნერის (Buettner, 2015) მიხედვით, „სოციალური მედია არის კომპიუტერის როგორც შუამავლის ფუნქციის მქონე ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შექმნან, გაიზიარონ ან გაცვალონ ინფორმაცია, კარიერული ინტერესები, სურათები ან ვიდეოები ვირტუალურ საზოგადოებებში“ (გვ. 58). კაპლანი და ჰაენლეინი (Kaplan and Haenlein, 2010, გვ. 59-68) წარმოადგენენ სოციალური მედიის სხვაგვარ განსაზღვრებას: „ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების ჯგუფი, რომელიც Web 2.0 გვერდის იდეოლოგიურ და ტექნოლოგიურ დაარსებას უზრუნველყოფს. ეს საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ და გავცვალოთ მომხმარებლის მიერ გენერირებული შინაარსი“.

ბოიდი და ელისონი (Boyd & Ellison, 2008) განსაზღვრავენ სოციალურ მედიას ან სოციალურ ქსელს როგორც „ქსელზე დაფუძნებულ სერვისებს, რომლებიც ადამიანს საშუალებას აძლევს, შექმნან საჯარო ან ნახევრად საჯარო პროფილი შემოსაზღვრული სისტემის ფარგლებში, გაეცნონ სხვა მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას, ვისთანაც ისინი კავშირს ამყარებენ, და მოიძიონ როგორც მათი კავშირების, ისე მათ სისტემაში მყოფი სხვა წევრებზე არსებული ინფორმაცია (გვ. 211-212). წინამდებარე კვლევაში სოციალური მედიის სამუშაო განმარტება მდგომარეობს შემდეგში: სხვადასხვა სოციალური ქსელების პლატფორმების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება, მოსწავლეების საგანმანათლებლო უნარების გაფართოებისა და გაზრდის მიზნით, სოციალური მედიის ინსტრუმენტების ფორმარულ და/ან არაფორმალურ სასწავლო პროცესში ინტეგრირება. ჩვენი მიზანია, გავაღრმავოთ მოსწავლეების კითხვის და წაკითხულის

გაგების უნარ-ჩვევები საკლასო მეცადინეობების დროს Facebook-ის, Edmod-ის, Twitter-ისა და YouTube-ის გამოყენებით.

ქამბეელი (Campbell , 2010) სოციალურ მედიას სამ მიმართულებად ყოფს:

- სოციალური მედიის შინაარსის დიდი ნაწილი მომხარებლების მიერ არის გენერირებული;
- მომხარებლებს შორის არსებობს ინტერაქცია და თანამშრომლობა;
- სხვა სოციალურ პლატფორმებთან და ვებ-გვერდებთან არსებობს მარტივი ინტეგრირებისა და დაკავშირის საშუალება.

წინა კვლევებზე დაყრდნობით, **მობილურ სწავლებას** ასევე სხვადასხვა განმარტება აქვს. ტერმინები, რომლებიც მობილური სწავლების განმარტებისთვის გამოიყენება, შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლეების მობილურობა, სოციალური მედია და მობილური აპლიკაციები, ინტერაქცია და თანამშრომლობა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. გეორგიევა, სმირმაკოვი და გეორგიევი (Georgieva, Smrikarov & Georgiev, 2005) სმარტ ინსტრუმენტის გამოყენებით აკვირდებოდნენ მობილურ სწავლებას, იმისათვის რომ გაემდიდრებინათ და ხელი შეეწყოთ სასწავლო გარემოსთვის ნებისმიერ დროსა და ადგილას. კიგანი (Keegan, 2005) განსაზღვრავს მობილურ სწავლებას, როგორც ნებისმიერი სახის განათლებისა და სწავლის უზრუნველყოფას ისეთი სმარტ მოწყობილობების გამოყენებით, როგორცაა სმარტ ტელეფონები, ჯიბის კომპიუტერები, PDA და პორტატიული ტელეფონები. ელის (Ally, 2009) მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება მოიცავს სასწავლო შინაარსის მიწოდებას მობილურ მოწყობილობებში. ქუქულსკა-ჰულმე და თრაქსლერი (Kukulska-Hulme & Traxler, 2005) აცხადებენ, რომ „მობილური სწავლა ნაწილობრივ სწავლასთან და ნაწილობრივ მობილური კომპიუტერისა და მობილური მექანიზმების მსოფლიო ბაზრის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. იგი სწრაფად ხდება ფინანსურად მისაწვდომი კომპონენტი ონლაინ და დისტანციური სწავლებისთვის. ნებისმიერი კომპანიების, უნივერსიტეტების და კოლეჯების პასუხისმგებელმა პირებმა ზედმიწევნით უნდა გაიზარონ, თუ როგორი სახის შემოთავაზება არსებობს ბაზარზე ამ კუთხით“ (გვ. 2). ვექსლერი და მისი კოლეგები

(Wexler et al., 2007) განსაზღვრავენ მობილურ სწავლას შემდეგნაირად: „ნებისმიერი სახის აქტივობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, გახდნენ უფრო პროდუქტიულები მოხმარების, კომუნიკაციის და ინფორმაციის მოძიების დროს. ეს ყველაფერი ხელშეწყობილია კომპაქტური ციფრული პორტატული მოწყობილობის საშუალებით, რომლებსაც პიროვნება მუდმივად იყენებს, რომლისთვისაც მას გააჩნია საიმედო კავშირი და იგი ეტევა ჯიბესა თუ საფულეში“ (გვ.21). ამავდროულად, ლიუ და ჰანი (Liu and Han, 2010) ამტკიცებენ, რომ მობილური სწავლა შეიძლება იყოს ინოვაციური მეთოდი საგანმანათლებლო მიზნებისთვის, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, მიიღონ ცოდნა მობილური უკაბელო ტექნოლოგიებისა და მედია აპლიკაციების გამოყენებით.

კვლევის მიზანია, შეიქმნას მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს იშიკ უნივერსიტეტის სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევები არამშობლიური ენის გარემოში მობილური მედიის მეშვეობით.

წარმოდგენილი დისერტაცია მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს:

- სოციალური მედიის რომელი ტიპები ყველაზე ხშირად გამოიყენება ერაყში იშიკ უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ;
- სოციალური მედიის წვლილი სტუდენტების აკადემიური მიღწევების საკითხში;
- სტუდენტების დამოკიდებულება მობილურ სწავლასთან დაკავშირებით სოციალური მედიის საშუალებით;
- მობილური სწავლისა და გაკვეთილების ტრადიციული საშუალებებით ჩატარების შედარება კითხვის სწავლებისას;
- მობილური სწავლის გამოყენება ფორმალური და არაფორმალური სწავლის პროცესში;
- თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავება სოციალური მედიის გამოყენებით კითხვის სწავლის დროს;
- ეფექტური მოსმენის გააზრების ტექნიკაში მობილური მედიის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოაშკარავება.

დისერტაციაში გამოსაკვლევი **პრობლემური საკითხებია:**

- როგორია ერაყის სტუდენტების მზაობის დონე მობილური სწავლების საკითხში?
- რომელია ყველაზე მოთხოვნილი სოციალური მედიის ინსტრუმენტი ერაყის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის?
- ტრადიციულ მეთოდთან შედარებით, უფრო მეტად ზრდის თუ არა მობილური სწავლა სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევებს?

კვლევის **ჰიპოთეზა** ჩამოყალიბებულია შემდეგ საკითხებზე დაყრდნობით:

- სოციალური მედიის მექანიზმების გამოყენებით მობილური სწავლის გამოყენების დანერგვა ხელს შეუწყობს სტუდენტებში წაკითხულის გააზრების უნარს.
- საკლასო გარემოში მობილური სწავლის მეთოდის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნას.
- მობილური მედიის გამოყენებით ჩატარებული კითხვის გაკვეთილების დროს სტუდენტები უფრო ინტერაქტიურები და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულები იქნებიან.

ზემოთ ხსენებულ საკითხებზე დაყრდნობით გამოყენებული იქნა **კვლევის შემდეგი მეთოდები:**

- კითხვარები
- არსებულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- ქვაზი-ესპერიმენტი
- დაკვირვება
- ექსპერიმენტული მონაცემების საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი პარადიგმა:

- წინასწარი კვლევა (ონლაინ კითხვარი კვლევის პირველ კვირას)
- პრე-ტესტი (სწავლის პირველ კვირას)
- ტესტი 1 (პრე-ტესტიდან რვა კვირის შემდეგ)
- ტესტი 2 (1 ტესტიდან რვა კვირის შემდეგ)
- პოსტ-ტესტი (კვლევის დასრულებისას)
- ექსპერიმენტის-შემდგომი გამოკითხვა (ონლაინ კითხვარი კვლევის დასრულებისას)

სიახლე

ბოლო წლების განმავლობაში, სოციალური ქსელების აღმავლობამ და უკაბელო ინტერნეტის მზარდმა განვითარებამ სტიმულირება მოახდინა მობილური სწავლისა და სოციალური მედიის შესწავლაზე. ბევრი კვლევა ჩატარდა ელექტრონულ სწავლასთან დაკავშირებით, თუმცა, მობილური სწავლის მეთოდი კვლევისთვის გაცილებით ახალი სფეროა. განსაკუთრებულად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ძალიან მცირე სისტემატური კვლევაა ხელმისაწვდომი.

ერაყის ქურთისტანის რეგიონში მუშაობის გამოცდილებამ და დაკვირვებამ დაარწმუნა მკვლევარი, რომ ამ რეგიონს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს მობილური სწავლის დანერგვისათვის. კლიმატისა და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, სტუდენტები თავს არიდებენ თავიანთი გაკვეთილების სწავლას. ამ ინოვაციურმა კვლევამ უზრუნველყო ახალი სწავლის მეთოდების შემუშავება ერაყის სტუდენტებისთვის. უფრო მეტიც, ეს იყო პირველი კვლევა, რომელიც ჩატარდა იშიკ უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები თავს არიდებდნენ გაკვეთილებზე სწავლას, განსაკუთრებით ცხელი ამინდების პერიოდში. ამიტომ სტუდენტები კმაყოფილები იყვნენ გაკვეთილებზე სოციალური მედიის ინსტრუმენტების გამოყენებით. მობილური სწავლის მეთოდები წარმოდგენილი იქნა არა მხოლოდ იშიკ უნივერსიტეტის პერსონალისთვის, არამედ მთელი ფეხალარის საგანამანათლებლო დაწესებულების (რომელტა ნიწილიც არის იშიკ უნივერსიტეტი) მასწავლებლისთვისაც.

თეორიული ღირებულება

კვლევაში გამოვიყენეთ მობილური სწავლის მეთოდი სოციალური მობილური მედიის გამოყენებით და შევთავაზეთ სტუდენტებს ესწავლათ მობილურად, ანუ მოსწავლეები არ იყვნენ შეზღუდულები სწავლის დროსა და ადგილთან დაკავშირებით. სმარტ მოწყობილობების გამოყენებით მათ მარტივად ჰქონდათ წვდომა წასაკითხ მასალებთან. სტუდენტები იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთი პლათფორმების მიღწევებით, როგორცაა Facebook და Edmodo.

სასწავლო პროცესი სტუდენტზე ორიენტირებული იყო, რადგან სტუდენტები მობილურ მედიას ინტერაქტიურად იყენებდნენ. მობილური სწავლის მექანიზმების გამოყენებით სტუდენტებს შეეძლოთ ნებისმიერ დროსა და ადგილას წვდომა ჰქონოდათ წასაკითხ მასალებთან. სოციალური მედიის საშუალებით ხდებოდა სტუდენტების მობილურ მოწყობილობებზე დამატებითი ექსტენციური და ინტენსიური წასაკითხი მასალების მიწოდება. ამგვარად მოსწავლეები გახდნენ კვლევითი და თანამშრომლობის უნარების მქონე, კომუნიკაციურები და პროდუქტიულები. სტუდენტების უმრავლესობა გაეცნო სოციალური მედიის გამოყენებით ონლაინ კითხვისა და წაკითხულის გაგების სტრატეგიებს. მობილური სწავლის პროცესში სტუდენტები ჩართულები იყვნენ კითხვის აქტივობებში როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. Edmodo -ს საშუალებით მათ ჩაუტარდათ მაფორმირებელი და ინფორმატიული შეფასებები.

კვლევის თეორიული საფუძვლები შემდეგია:

- მობილური სწავლება და სწავლა (Kukulska-Hulme, 2005).
- განათლებისა და ცოდნის მიწოდების ტრანსფორმირება (Ally , 2009)
- მობილური სწავლის პედაგოგიური ფორმები (Laurillard & Pachler, 2007).
- მობილური სწავლის წყაროების დაგეგმვა და განხორციელება (Sharples, 2002).
- კითხვის მახასიათებლის ანალიზი (Feng, 2010).
- კითხვა როგორც 'ფსიქოლინგვისტური გამოცნობითი თამაში' (Goodman, 1967).

- კითხვისას შინაარსის გაგების თანამშრომლობითი სტრატეგიები (Moreillon, 2007).
- ლექსიკისა და მართლწერის სწავლისას კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება: წყლილის ჰიპოტეზის დამატებითი მტკიცებულება (Krashen, 1989).
- კითხვის სავარჯიშოების ტიპოლოგია (Grellet, 1996).
- მოსაზრებები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის შესახებ (Clasen & Bowman, 1974).
- მოსწავლეზე ორიენტირებული სააუდიტორიო სამუშაო და შეფასებები (McCombs & Miller, 2006).
- შეხედულებები მხარდამჭერი სწავლებისა და ფორმატიული შეფასების შესახებ (Heritage, 2008).
- გამოკვლევები გამოყენებით ლინგვისტიკაში (Widdowson, 1979).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

განათლებაში კომპიუტერებისა და სოციალური მედიის მნიშვნელობაზე ბევრი კვლევა არის ჩატარებული, ხოლო მობილური მედიის როლი როგორც საგანმანათლებლო მიზნების უკეთესად მიღწევის საშუალება ნაკლებადაა შესწავლილი. ახალი მობილური ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება მოგვცემს საშუალებას, ეფექტურად გამოვიყენოთ ისინი ენის სწავლისას, განსაკუთრებით კი ისეთ გარემოში, სადაც ეს ტექნოლოგიები ადვილად და სწრაფად ხელმისაწვდომია. დისერტაციაში ნათლად იქნება ნაჩვენები, რომ არსებობს მობილური ხელსაწყოებისა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ეფექტური გზები ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისთვის. ამ კვლევაზე დაყრდნობით განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები და კურიკულუმის შემდგენლები შეძლებენ, გაანალიზონ, რამდენად მზად არიან სტუდენტები სწავლისას ყოველდღიურად ბევრი იკითხონ.

დისერტაცია დაეხმარება ლექტორებს, შეიძინონ ალტერნატიული შეხედულება სტუდენტთა მიერ მობილური სწავლის გათვითცნობიერებაზე, მათი ამ პროცესში ჩართულობასა და მისთვის ფსიქოლოგიური და ტექნიკური მზადყოფნის შესახებ,

კერძოდ, ერაყის გარემოში, სადაც გაკრვეული თავისებურებები, როგორცაა კლიმატი, სოციალური სტატუსი და გარემო, ა.შ. მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ სასწავლო პროცესზე.

კვლევა წახალისებს ლექტორებს, თავიანთ გაკვეთილებზე გამოიყენონ სოციალური მედიის ისეთი საშუალებები, როგორცაა Edmodo და Facebook-ი, რათა განავითარონ სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევები.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაციები და 11 დანართი. იგი მოიცავს 18 ცხრილსა და 19 ფიგურას.

თავი 1: კითხვის სწავლების მობილური სოციალური მედიის საშუალებების გამოყენებით თეორიული ბაზა

მოცემულ თავში შემოთავაზებულია მობილური სოციალური მედიის გამოყენების თეორიული საფუძვლები, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესში, ინტერნეტ წყაროების მოძიებაში და ჩამოტვირთვაში, ინფორმაციის შენახვასა და ორგანიზებაში ნებისმიერ დროსა და სივრცეში (Sharples, Corlett, & Westmancott, 2002). სოციალური მედია ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება ყველა სახის ონლაინ პლატფორმებისა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის აღსანიშნად არა მხოლოდ პერსონალური კომპიუტერებისთვის, არამედ სმარტ ტექნოლოგიებისთვისაც. სოციალური მედია გამოიყენება კომუნიკაციის, მონაცემთა გაზიარებისა და სხვადასხვა მიზნით ინტერაქციისთვის ონლაინ რეჟიმში.

მოცემული თავი აგრეთვე განსაზღვრავს მობილური სწავლების ფენომენს როგორც “მობილური ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლის მიზნით დროსა და სივრცისგან დამოუკიდებლად” (Shih, Chuang, & Hwang, 2010, p. 56). მოცემულ თავში შეჯამებულია მობილური სწავლის შემდგი პრინციპები:

- მობილური სწავლა უზრუნველყოფს ინტერაქციას არა მხოლოდ სტუდენტებსა და მათ უშუალო გარემოს შორის, არამედ ხელს უწყობს ლექტორების შორის ურთიერთქმედებასაც.
- მობილური სწავლა წარმოადგენს თანამშრომლობით მეთოდს, რადგანაც სოციალური ქსელების მეშვეობით ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია კომუნიკაცია და გამოცდილებათა გაზიარება ნებისმიერ ადგილსა და დროში.
- მობილური სწავლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პორტაბელურობის პრინციპი.
- მობილური სწავლა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინფორმაციის მიმღების ყურადღების აქტივირებას.
- მოწყობილობათა პორტაბელურობისა და სოციალური ურთიერთქმედების პრინციპი უზრუნველყოფს სწავლის დროულობის პრინციპსაც.

თავში აგრეთვე განხილულია ინგლისურ როგორც უცხოურ ენაზე კითხვის სწავლების თავისებურებანი. მიმოხილული ლიტერატურის მიხედვით კითხვა განსაზღვრულია როგორც ინფორმაციის მიღებისა და ინტერპრეტირების პროცესი მიმღები ინდივიდის ფონური ცოდნის გათვალისწინებით. მოცემულია აგრეთვე კითხვის მოდელების მიმოხილვა. გაანალიზებულია ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ მიმართული მოდელი. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მრავალი პარამეტრით, თუმცა, ორივე გამოყენებადია კითხვისას ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებისათვის. ისინი გამოიყენება კითხვის პროცესში როგორც ერთმანეთის დამხმარე მიდგომა.

ინტენსიური და ექსტენსიური კითხვის კონტრასტული ანალიზი 1.1 ცხრილში.

კითხვის სახეები	ინტენსიური კითხვა	ექსტენსიური კითხვა
განსაზღვრება	კითხვა დეტალური გაგებით, სპეციფიკური მიზნებითა და ამოცენანებით	დიდი მოცულობის მასალის მოკლე დროში წაკითხვა ან გრძელვადიანი კითხვა, მთლიანობაში გაგების მიზნით

მიზნები	<ul style="list-style-type: none"> წაკითხულის მნიშვნელობის დეტალური გაგება ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით ტექსტის კონკრეტული ნაწილის ყურადღებით და დეტალურად წაკითხვა 	<ul style="list-style-type: none"> კითხვის უნარ-ჩვევები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაშია გამოსადეგი კითხვა შინაარსის ზოგადი აღქმის მიზნით
ვინ ირჩევს?	მასწავლებელი	სტუდენტი
მოცულობა	ძალზედ ცოტა	კვირაში ერთი წიგნი დონის შესაბამისად
წიგნების სირთულის დონე	რთული	მარტივი, ადვილად წასაკითხი
სად უნდა იქნას წაკითხული?	აუდიტორიაში	თავდაპირველად აუდიტორიაში, შემდეგ სახლში
გაგების შემოწმება	სავარჯიშოებით	არ არის ყოველთვის სავალდებულო, რადგანაც მოსწავლეებმა შეიძლება აირჩიონ ის წიგნი, რომელიც ადრე წაუკითხავთ
რა უნდა იქნას წაკითხული?	კურსის მასალები	ადვილად წასაკითხი მასალები

ცხრილი 1.1. ინტენსიური და ექსტენსიური კითხვის კონტრასტული ანალიზი

ამავე თავში მიმოხილულია ინგლისურის როგორც უცხოური ენის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. იქედან გამომდინარე, რომ მოსწავლე წარმოადგენს მთავარ ფიგურას აუდიტორიაში, ტრადიციული მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები ამ ბოლო ხანებში შეიცვალა სტუდენტზე მორგებული მიდგომით. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი მახასიათებლები წარდგენილია პირველ თავში როგორც: 1. სწავლა როგორც ცოდნის კონსტრუირების პროცესი 2. თანამშრომლობითი სწავლა 3. მეტაკოგნიცია 4. მასწავლებელ-მოსწავლის პარტნიორობა 5. ავთენტური შეფასება.

მიპრველ თავში ასევე საუბარია მობილური მედიის საშუალებით სწავლების უპირატესობებზე და სუსტ მხარეებზე კითხვის სწავლების პროცესში. შემოთავაზებულია კითხვის სტრატეგიების დეტალური ანალიზი.

თავი 2 - მობილური სოციალური მედია საშუალებების გამოყენების პრაქტიკული საფუძვლები კითხვის სწავლებისას

მოცემულ თავში განხილული ძირითადი საკითხია კითხვის სწავლებისას მობილური სოციალური მედიის საშუალებების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები. თავში გაანალიზებულია ის მიდგომები, რომლებიც გამოიყენება კითხვის სწავლებისას სახელმძღვანელოებში, ვებ-გვერდებსა და მობილური მედია აპლიკაციებში. იშვიკ უნივერსიტეტში კითხვის უანრ-ცვევების გასავითარებლად გამოყენებული სახელმძღვანელოს (Cover to Cover Reading Comprehension and Fluency) ანალიზი განხორციელდა და მოხდა მისი განახლება ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტთა მოთხოვნისა და კითხვის სტრატეგიების განვითარების შესაბამისად. გაკვეთილების თემატიკა როგორც ექსპერიმენტული, ისე საკონტროლო ჯგუფისთვის შეირჩა სტუდენტების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მეორე თავში წარმოდგენილია კითხვის უნარების განვითარების შესაზლებლობები ვებ გვერდებსა და მედია აპლიკაციებში. ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ვირტუალური სივრცე. ვებ გვერდები და მობილური მედია აპლიკაციები ინტენსიურად გამოიყენება განათლების სფეროში. შესაძლებელია ვებ-გვერდების ასეთი კლასიფიკაცია: ვებ-გვერდები, რომლებიც პირდაპირ უწყობენ ხელს განათლებასა და სწავლა/სწავლებას და ვებ-გვერდები, რომლებიც უწყობენ ხელს მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებას.

ქვეთავი სახელწოდებით “მობილური მედია საშუალებების გამოყენებაზე დაფუძნებული კითხვის უნარ-ჩვევების ლექსიკური კომპონენტის განვითარება“ მოიცავს სამ მნიშვნელოვან ელემენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველია მობილურ მედია საშუალებებზე დამყარებული დავალებები. აღნიშნული დავალებები გვიჩვენებს, რომ სწავლება ან სწავლა იქნება გაცნობიერებული პროცესი. მეორე ნაწილი შეეხება კითხვის უნარების ლექსიკოლოგიურ კომპონენტს. ბოლო

ნაწილი მოიცავს კითხვის უნარ-ჩვევებს, რომელთა განვითარებაც ხელს უწყობს ნებისმიერი მსწავლელის ლინგვისტური უნარების განვითარებას.

მეორე თავში აღწერილია კითხვის უნარ-ჩვევის განმავითარებელი გაკვეთილები იშვიკ უნივერსიტეტის ინგლისური ენის სწავლების დეპარტამენტში. მოცემული სექციის მიზანია კითხვის ტრადიციული სწავლების და სოციალური მედიის მეშვეობით შერეული სწავლების განხილვა. სხვადასხვა ლექტორები იყენებენ კითხვის სწავლებისას განსხვავებულ მეთოდებს. მოცემული ქვეთავი აღწერს კითხვის ტრადიციულ და მობილურ სწავლა-სწავლებას.

თავში მოცემული მონაცემების მიხედვით, უცხოური ენის მეცადინეობა უნივერსიტეტებში შეიძლება გახდეს უფრო ეფექტური და ინტერაქციული, თუკი სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნება სოციალური მობილური საშუალებები. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ როგორც ლექტორებს, ისე სტუდენტებს გააცნობენ მობილური სწავლა-სწავლების თავისებურებებს. ისინი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ როგორ ჩართონ სოციალური მედია თავიანთ სასწავლო კურსში. ძირითადი სოციალური მედია პლატფორმები, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნან საგანმანათლებლო მიზნით, შემდეგია: Facebook, YouTube, Twitter, Edmodo და სხვადასხვა ბლოგები. ფეისბუქი წარმოადგენს ყველაზე გამოყენებად სოციალურ მედია საშუალებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებში საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

თავი 3: იშვიკ უნივერსიტეტში სოციალური მობილური მედიის გამოყენების კვლევა კითხვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისას

ნაშრომში წარმოდგენილია სამი კვლევის შედეგი:

პირველ კვლევაში ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვევლინა ის, თუ რამდენად არიან მზად ერაყის ქურთისტანის რეგიონის უნივერსიტეტების სტუდენტები სოციალური მობილური სწავლების გამოყენებისთვის. 186 სტუდენტმა ოთხი სხვადასხვა

უნივერსიტეტებიდან შეავსეს ონლაინ კითხვარები. შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები მზად იყვნენ მობილური სწავლებისთვის. მათ ამისთვის გაძლიერდა სჭირდებათ. სტუდენტთა უმრავლესობას აქვს ადვილი წვდომა ინტერნეტთან ყველგან და ყოველთვის. ისინი დღის საკმაოდ დიდ პერიოდს უთმობენ ინტერნეტ ჩართულობას. სტუდენტთა უმრავლესობა ფლობდა ისეთ მობილურ საშუალებებს, როგორცაა სმარტფონები და ტაბლეტები, ასევე პორტატიულ კომპიუტერებს. ისინი ყოველთვის ატარებენ თან მინიმუმ ერთ მობილურ მოწყობილობას, რაც საშუალებას აძლევთ მათ, იქონიონ უწყვეტი ინტერნეტ წვდომა. სტუდენტთა უმნიშვნელო რაოდენობას არ ჰქონდა არცერთი სოციალური ქსელის, თუმცა, უნივერსიტეტში ისინი იყენებენ რომელიმე სოციალურ ქსელს. ყოველივე ზემოთხსენებულის შედეგად, ქურთისტანის რეგიონის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გააჩნიათ დიდი პოტენციური მობილური სწავლის თავიანთ სასწავლო გარემოში დანერგვისა. ლექტორებზე და სტუდენტებზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენამ მოახერხებენ ისინი აღნიშნული საშუალებების ინტეგრირებას სასავლო პროცესში.


მეორე კვლევა წარმოადგენს ექსპერიმენტულ კვლევას, რომელიც ზომავს და ადგენს სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების დონეს.

კვლევის მონაწილეები იყვნენ იმიკ უნივერსიტეტის (რომელიც მდებარეობს ქ. ერბილში, ერაყის ქურდისტანის რეგიონში) სტუდენტები, კერძოდ, განათლების ფაკულტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის მეორე კურსის სტუდენტები. კვლევაში მონაწილეობდა 51 სტუდენტი.

მოცემული კვლევის მიზანი იყო, გამოგვეკვლია სოციალური მობილური საშუალებების გავლენა ბაკალავრის საფეხურის სტუდენტების ინგლისური ენის სწავლაზე, კერძოდ, მათი კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ორი აკადემიური სემესტრის განმავლობაში ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები ინტენსიურად იყენებდნენ სოციალურ მედია საშუალებებს და სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამულ უზრუნველყოფას სახელწოდებით Edmodo. საკონტროლო ჯგუფს კი უტარდებოდათ კითხვის ტრადიციული გაკვეთილები.

კვლევის გეგმის მიხედვით, პრე-ტესტი ჩაუტარდათ ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებს. ოთხივე ტესტი შედგენილ იქნა შემდეგი სახელმძღვანელოს მიხედვით: Oxford press test bank for Cover to Cover reading and comprehension text book. ტესტები წარმოადგენს სტანდარტიზებულ ტესტებს, რომლებიც აფასებენ კითხვის უნარ-ჩვევებსა და ლექსიკურ ცოდნას.

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ტესტების შედეგთა საშუალო შედეგებს. ყველა ტესტი შეფასდა 100-ბალიანი სისტემით. საშუალო მაჩვენებლები ეტაპობრივად იზრდება ორივე ჯგუფში. საკონტროლო ჯგუფში პრე-ტესტის საშუალო მაჩვენებელია 52.72, როდესაც პირველი ტესტის მაჩვენებელია 55.76, მეორე ტესტში იგი შეადგენს 59.68-ს და საბოლოო ტესტში კი 63.96-ს. მაჩვენებლების ზრდა 11,24 ქულას შეადგენს. ექსპერიმენტულ ჯგუფში შემდეგი საშუალო მაჩვენებლებია: პრე-ტესტი 53.46, პირველი ტესტი 58.08, მეორე ტესტი 62.81 და საბოლოო ტესტი 67.19. მაჩვენებლების ზრდა 13,73 ქულას შეადგენს, რაც არემატება საკონტროლო ჯგუფში მიღებულ შედეგებს.



ფიგურა 3.1. ტესტირების შედეგების საშუალო მაჩვენებლები ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში

ქვემოთ მოცემულ 3.1. ცხრილში დაწყვილებული სანიმუშო ტესტები გაანალიზებულ იქნა ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების მაგალითზე. პირველი წყვილია პრე-ტესტის შედეგები ექსპერიმენტულ ჯგუფში და პრე-ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფში. მეორე წყვილი: პირველი ტესტის შედეგები ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფისთვის. მესამე წყვილი: მეორე ტესტის შედეგები ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფისთვის. მეოთხე წყვილი წარმოადგენს პოსტ-ტესტის შედეგებს ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფში. ცხრილში ნაჩვენებია სტატისტიკის მიხედვით, პირველი წყვილის p კოეფიციენტი უდრის 0,890-ს, რაც მეტია 0,05-ზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ექსპერიმენტალური და საკონტროლო ჯგუფების მაჩვენებლებში. ანუ, ექსპერიმენტის დაწყებამდე ორივე ჯგუფში არსებული უნარ-ჩვევები თითქმის ერთ დონეზე იყვნენ.

თუმცა, მეორე წყვილში p კოეფიციენტი უდრის 0,006-ს, რაც ნაკლებია 0,05-ზე, რაც ნიშნავს, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ექსპერიმენტალური და საკონტროლო ჯგუფების მაჩვენებლებში. ცხრილი აგრეთვე აჩვენებს იმასაც, რომ p კოეფიციენტი მეორე ტესტისთვის ექსპერიმენტალურ და საკონტროლო ჯგუფებში უდრის 0,045-ს. შეიძლება თავისუფლად დავასკვნათ, რომ მოცემულ წყვილში არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. კოეფიციენტი ბოლო წყვილისთვის არის 0,016, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღნიშნულ წყვილშიც. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ექსპერიმენტის პროცესში ექსპერიმენტულმა ჯგუფმა სტატისტიკურად მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

დაწყვილებული სანიმუშო ტესტები									
		დაწყვილებული განსხვავებები					t	df	Sig. (2-tailed)
		საშუალო	სტანდარტული დევიაცია	სტანდარტული ცდომილების საშუალო კოეფ.	95% სხვაობის ობიექტურობის ინტერვალი				
წყვილი	პრე-ტესტი ექსპერ				მინიმალური შედეგი	მაქსიმალური შედეგი			
1	პრე-ტესტი ექსპერ	-0,040	1,428	0,286	-0,630	0,550	-0,140	24	0,890

	იმენტ ულ და საკონ ტროლ ო ჯგუფშ ი								
წყ ვი ლი 2	პირვე ლი ტესტი ექსპერ იმენტ ულ და საკონ ტროლ ო ჯგუფშ ი	1,400	2,327	0,465	0,439	2,361	3,008	24	0,006
წყ ვი ლი 3	მეორე ტესტი ექსპერ იმენტ ულ და საკონ ტროლ ო ჯგუფშ ი	2,160	5,113	1,023	0,050	4,270	2,112	24	0,045
წყ ვი ლი 4	პოსტ- ტესტი ექსპერ იმენტ ულ და საკონ ტროლ ო ჯგუფშ ი	2,320	4,488	0,898	0,467	4,173	2,585	24	0,016

ცხრილი 3.1. დაწყვილებული სანიმუშო ტესტის მნიშვნელობები ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფებისთვის

აღნიშნულმა ექსპერიმენტალურმა კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია მოსწავლეების დატვრითვა სხვადასხვა დავალებებით არაფორმალური სწავლის

პროცესში მეტი პასუხისმგებლობისთვის. სმარტ მოწყობილობები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ჩართულობას სწავლის პროცესში საკლასო გარემოს ფარგლებს გარეთაც კი. მობილური სოციალური საშუალებების გამოყენება სტუდენტებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავად გააკონტროლონ თავიანთი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები (Başoğlu & Akdemir, 2010). ისინი თავად ივითარებენ სწავლის უნარებს და შესაბამისად, პროცესი ხდება სტუდენტზე ორიენტირებული. არაფორმალური სწავლისას კითხვის უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები უზრუნველყოფენ სტუდენტის ინტენსიურ ჩართულობასა და თანამშრომლობით სწავლებას.


მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეები თავდაპირველად არ იყვნენ ენთუზიასტურად განწყობილნი დამატებითი დავალებების შესრულებისადმი, ისინი სიამოვნებით იყენებდნენ თავიანთ სოციალურ მედია საშუალებებს სწავლის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მათი მოტივაციის დონეს. საკლასო გარემოს ფარგლებს გარეთ მოსწავლეებმა შექმნეს თანამშრომლობითი სასწავლო გარემო. შეიძლება დავასკვნათ, რომ სმარტფონებისა და სხვა მობილური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს არაფორმალური სწავლის განვითარებას. სტუდენტებს მიეცათ საშუალება, დამატებითი წასაკითხი და ლექსიკური მასალის მოეპოვებინათ სოციალური მედიის გამოყენების მეშვეობით. აღნიშნულ საშუალებათა გამოყენება აგრეთვე ხელს უწყობს დროის ეკონომიასაც. სტუდენტებს მიეწოდა არა მარტო დამატებითი წასაკითხი მასალა, არამედ აუდიო-ვიდეო სასწავლო მასალებიც. მათ ჩაუტარდათ ონლაინ ტესტები და შეძლეს თვალყური ედევნებინათ თავიანთი პროგრესისათვის უცხოური ენის შესწავლის კუთხით. ისინი არა მარტო ინტერაქტიურნი იყვნენ და თანამშრომლობდნენ ლექტორთან, არამედ ურთიერთქმედებდნენ თანაჯგუფელებთანაც. მათ ჰქონდათ მაღალი კონფიდენციალურობის დონე, რადგანაც ფეისბუკისა და ედმონდოს საკონტაქტო ჯგუფები დაკეტილია უცხოთათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მობილური სოციალური პლატფორმების გამოყენება აუცილებელია არა მარტო ლექტორებისა და სტუდენტებისათვის, არამედ აღნიშნული საშუალებები სერიოზულად უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე

საგანმანათლებლო პოლიტიკის შემქმნელებმა და განმახორციელებლებმაც. სკოლებში აუცილებელია მეტი ინვესტიციების ჩადება ამ მიმართულებით. განათლების სფეროში ჩართული ყველა ინდივიდი უნდა ინფორმირებული იყოს ზემოთხსენებულ ტექნოლოგიების, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების სწრაფ და უსაფრთხო საშუალებებს, უპირატესობებზე.

მესამე კვლევაში ჩვენი მიზანი იყო სტუდენტთა კმაყოფილებისა და მობილური სოციალური საშუალებების მიღების დონის გაზომვა და გარკვევა. კვლევის მონაწილეები იყვნენ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები - 16 გოგონა და 10 ვაჟი, მეორეკურსელი სტუდენტები იშვიკ უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტში. ისინი დათანხმდნენ კვლევის-შემდგომ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე.

კვლევაში ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია, თუ რა სიხშირით გამოიყენეს სტუდენტებმა ინტერნეტი სამი განსხვავებული მიზნისათვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ინტერნეტის გამოყენების მიზნებს.



ფიგურა 3.1 ინტერნეტის გამოყენების მიზნები

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ინტენსიურად იყენებს ინტერნეტს, სმარტ მოწყობილობებსა და სხვადასხვა სოციალურ მედია საშუალებებს. ისინი იყენებენ აღნიშნულ საშუალებებს თავიანთ სოციალურ ურთიერთქმედებაში. მათ გამოიყენეს მობილური სწავლის საშუალებანი ჩვენი კვლევის ფარგლებში. მათი უმრავლესობა მზად იყო აღნიშნულ საშუალებათა საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოსაყენებლად. ექსპერიმენტის შემდეგ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების უმეტესობა კმაყოფილი იყო სოციალური მობილური მედის სასწავლო პროცესში გამოყენებით (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). შედეგების გაზომვისას გამოყენებული 5 ქულიანი ლიკერტის სისტემა საშუალებას იძლევა სამზე მეტი საშუალო არითმეტიკული დადებითად ჩაითვალოს. ათივე შეკითხვა შეფასდა უმაღლესი ქულებით.

სიხშირე და აღწერითი ცხრილები	სიხშირე										აღწერითი	
	კატეგორიულად არ ვეთანხმები		არ ვეთანხმები		არ მაქვს პასუხი		ვეთანხმები		სავსებით ვეთანხმები		საშუალო	სტანდ. დევიაცია
კითხვები	N	%	N	%	N	%	N	%	N	%		
1. სასურველია, რომ მასწავლებელმა გამოიყენოს მობილური სწავლების მეთოდი გაკვეთილების დროს.	3	11.5	4	15.4	6	23.1	10	38.5	3	11.5	3.23	1.210
2. სოციალური მედია და მობილური სწავლება აადვილებს სწავლას.	2	7.69	1	3.8	5	19.2	12	46.2	6	23.1	3.73	1.116
3. მობილური სწავლების მეთოდის საშუალებით მე შევძლებ უფრო გავაუმჯობესო ინგლისური ენის ცოდნის დონე	1	3.85	1	3.8	6	23.1	12	8.0	6	23.1	3.81	.981
4. ინგლისური ენის სწავლების სხვა მეთოდებთან შედარებით, მობილური სწავლების მეთოდით უფრო კმაყოფილი ვარ.	0	0	4	15.4	7	26.9	7	26.9	8	30.8	3.73	1.079
5. მობილური სწავლების საშუალებით უფრო მიაღწილდება წასაკითხი მასალების მოძიება.	0	0	3	11.5	6	23.1	11	42.3	6	23.1	3.77	.951
6. მობილური სწავლების მეთოდი მეხმარება კითხვის უნარების გაუმჯობესებაში.	0	0	3	11.5	4	15.4	14	53.8	5	19.2	3.81	.895
7. სოციალური მედიის Edmodo-სა და Facebook-ის საშუალებით, მე უფრო კითხვის უნარები.	1	3.85	4	15.4	7	26.9	9	34.6	5	19.2	3.50	1.105

8. სოციალური მედიის გამოყენებით, შემოდის მოვიძიო და წავიკითხო ნებისმიერი მასალა.	1	3.85	0	0.0	5	19.2	10	38.5	10	38.5	4.08	.977
9.სმარტ მოწყობილობების საშუალებით მასალების მოძიება და წაკითხვა უფრო სასიამოვნო და მარტივია, ვიდრე წიგნის კითხვა.	2	7.69	1	3.8	10	38.5	8	30.8	5	19.2	3.50	1.105
10. მე მხარს ვუჭერ მობილური სწავლების მეთოდის გამოყენებას ინგლისური ენის შესწავლისას.	0	0	3	11.5	3	11.5	14	53.8	6	23.1	3.88	.909

დასკვნები

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი დასკვნები:

- როგორც ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, უკაბელო ინტერნეტის წვდომადობა და მობილური სწავლა-სწავლება სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ტარდება რიგი კვლევებისა ინტერნეტისა და სმარტ ტექნოლოგიების აკადემიურ სფეროში გამოყენებასთან დაკავშირებით. ყველა ამ ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებული სწავლების მეთოდები მოიხსენიება როგორც მობილური სწავლა-სწავლება, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. მიიჩნევა, რომ სმარტ ტექნოლოგიებს (მობილური სმარტ ტელეფონები, ტაბლეტები, ელექტრონული წიგნები და ა.შ.) გააჩნიათ უდიდესი გავლენა დღევანდელ საგანმანათლებლო გარემოზე. ამასთანავე, საგანმანათლებლო გარემო შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალურიც. აქ მთავარი პრინციპია პორტაბელური სმარტ ტექნოლოგიების მეშვეობით ეფექტური სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა. აღნიშნული ტექნოლოგიები ხდიან სწავლის პროცესს არა მხოლოდ სპონტანურსა და პორტაბელურს, არამედ ინდივიდუალიზებლსა და სასიამოვნოსაც.
- კვლევის თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა აგრეთვე მიუთითებს იმასაც, რომ მოსწავლეებს აქვთ თავისუფალი და მოქნილი გრაფიკი სმარტ

მოწყობილობების გამოყენებისას და ისინი არ არიან მიჯაჭვულნი რომელიმე ფიქსირებულ ადგილს ან სხვა გარემოს. მოსწავლეებს შეუძლიათ მობილურ მოწყობილობათა გამოყენება დროსა და სივრცეში შეუზღუდავად. ეს თავისთავად ზრდის სწავლის პროცესის ეფექტურობას. მობილური სწავლა ხელმისაწვდომი ხდება მთელი დღის განმავლო, ყოველდღე. შესაბამისად, მოსწავლეები უფრო მოქნილები არიან სწავლის დროისა და ადგილის შერჩევაში. სმარტ ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში საფუძველს უდებს ახალ ცნებას, რომელსაც უწოდებენ მობილურ სოციალურ სწავლას (Social Mobile Learning). ამასთანავე, მობილური სწავლა ინტენსიურს ხდის ურთიერთობას არა მარტო სტუდენტებსა და მათ უშუალო გარემოს შორის, არამედ თავად ლექტორებს შორისაც. მობილური სწავლა ამასთანავე უზრუნველყოფს სტუდენტებს შორის თანამშრომლობას სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა დროსა და ადგილას. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები მნიშვნელოვნად იზრდება აღნიშნული ტექნოლოგიებისას. მობილური ტექნოლოგიები უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

- ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგანმანათლებლო სფეროში ინტენსიურად ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში თუმცა, არ არის ადვილი ყველა იმ სიახლის სწავლის პროცესში დანერგვა, რასაც ადვილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რადგანაც ტექნოლოგიები ძალზედ სრაფად ვითარდება.
- ლიტერატურის მიმიხილვამ ცხადყო, რომ ყველა მოსწავლეს გააჩნია განსხვავებული პერსპექტივები კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავების კუთხით. კითხვის უნარ-ჩვევების განსაზღვრება დამოკიდებულია მკითხველის მიზანზე, წასაკითხი მასალის შინაარსზე, მკითხველის ფონურ ცოდნაზე და მის დამოკუდებულებაზე წაკითხულისადმი. კითხვა არის მოსაუბრის ნააზრევის გაგების საშუალება. კითხვა წარმოადგენს ინტერაქტიურ პროცესს, როდესაც მოსწავლე/მკითხველი ახდენს საგანთან დაკავშირებული ფონური ცოდნისა და გამოცდილების აქტივირებას.

უმჯობესია, კითხვა განისაზღვროს როგორც ინფორმაციის მიღებისა და ინტერპრეტაციის პროცესი, როდესაც მხედველობაში მიიღება მკითხველის ფონური ცოდნა. ადამიანები ინფორმაციას იღებენ არა მხოლოდ ბეჭდვითი, არამედ სხვა სახის საშუალებებითაც. მაგალითად, წაკითხული ტექსტის მოსმენა გამოიყენება მხედველობის პრობლემების მქონე პირების მიერ. შესაბამისად, წაკითხვა არ არის მხოლოდ დაბეჭდილი მასალის ვიზუალურად აღქმის პროცესი. იგი უმჯობესია განისაზღვროს როგორც მკითხველისა და ტექსტის შორის ურთუერთქმედება.

- არსებობს კითხვის პროცესის სხვადასხვა მოდელები. ორი მათგანი წარმოადგენს ზემოდან ქვემოთ და პირიქით - ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოდელს. ქვემოდან ზემოთ მიმართული მოდელი წარმოადგენს მნიშვნელობის გაგებისას ენობრივი ელემენტებიდან გამონათქვამის მთლიან შინაარსზე გადასვლას. ზემოდან ქვემოთ მიმართული მოდელის არსს შეადგენს მკითხველის საკუთარი გამოცდილება და ინტელექტუალური განვითარების დონე. აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამ იმას, თუ როგორ იგებს მკითხველი ტექსტის შინაარსს საკუთარ ფონურ ცოდნაზე დაყრდნობით. ფონური ცოდნის გამდიდრების უმთავრესი გზაა, სტუდენტებმა რაც შეიძლება მეტი იკითხონ. შესაბამისად, ექსტენსიური კითხვა თამაშობს დიდ როლს აღნიშნულ პროცესში.
- ლიტერატურის ანალიზის დასკვნაა გაკეთებული, რომ ინტენსიური კითხვის მიზანია მოსწავლის ლინგვისტური უნარების გაუმჯობესება წაკითხულის შინაარსის უკეთესი გაგების მიზნით. ექსტენსიურ კითხვას, რომელსაც ასევე უწოდებენ თავისუფალ, ძალდაუტანებელ, სიამოვნების მიღების მიზნით კითხვას, კითხვის ისეთ სტრატეგიას უწოდებენ, რომელიც დიდი მოცულობის მქონე ტექსტების კითხვასთანაა დაკავსირებული და მოითხოვს ტექსტის მთლიანობაში გაგებას. როგორც ინტენსიური, ისე ექსტენსიური კითხვის სტრატეგიები ხელს უწყობენ მკითხველის უნარს, გაიგოს ტექსტი და მის ლექსიკურ მარაგს ამდიდრებენ.

- წინამდებარე კვლევა სამი ნაწილისგან შედგებოდა. კვლევის პირველი ნაწილი მიზნად ისახავდა ერაყელი სტუდენტების სმარტ ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის გამოყენებით სწავლის მზაობის დონის გამოვლენას. წინასაექსპერიმენტო გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ სტუდენტები მზად იყვნენ მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლისათვის. ერთადერთი რამ, რაც მათ ესაჭიროებოდათ, იყო ამ საქმეში გაზღოლა. კვლევის შედეგები აგრეთვე დასტურდება რიგი არსებული კვლევებითაც (e.g. Stockwell, 2008; Gikas & Grant, 2013; Embi & Nordin, 2013; Ismail, Idrus, Abu Ziden, & Rosli, 2010; National Center for Education Statistics, 2008; ;Wexler, et al., 2007; Shih, Chuang, & Hwang, 2010).
- კვლევის მეორე კომპონენტი იყო პედაგოგიური ექსპერიმენტი, ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მობილური ტექნოლოგიებისა და სოციალური მედია საშუალებების გამოყენება სწავლის პროცესში მნიშვნელოვნად გაზრდიდა მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების დონეს. როგორც კვლევამ აჩვენა, საკონტროლო ჯგუფში ტესტირების საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 52,72 ქულიდან 63,96 ქულიამდე, ანუ 11,24 ქულით. ექსპერიმენტალურმა ჯგუფმაც საკმაოდ დიდ პროგრესი აჩვენა. ამ ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 53,46 ქულიდან 67.19 ქულამდე. მთლიანი ზრდა იყო 13,73 ქულით. დაწყვილებული სანიმუშო ტესტებმა აჩვენეს, რომ ექსპერიმენტის დაწყებამდე ტესტის შედეგები საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფში სტატისტიკურად უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა, ხოლო ექსპერიმენტის დასასრულს ჯგუფების შედეგებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გახდა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კითხვის სწავლებაში სოციალური მობილური სწავლის გამოყენება უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ტრადიციული სწავლება.
- კვლევის ჰიპოთეზის კიდევ ერთი დებულება, რომ მობილური ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება ხელს უწყობს პროცესის კიდევ უფრო ინტერაქტიურად და თანამშრომლურ პროცესად გადაქცევას,

უზრუნველყოფს თანამშრომლობას არა მარტო სტუდენტებსა და მათ უშუალო გარემოს შორის, არამედ ლექტორებს შორისაც. გამოკვითხვამ, რომელიც ჩატარდა ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს შორის, აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას აქვთ წვდომა ინტერნეტთან, ისინი ფლობენ სმარტფონებსა და ტაბლეტებს, ისევე როგორც პორტატიულ კომპიუტერებს და იყენებენ სხვადასხვა სოციალურ ქსელებს. ისინი იყენებდნენ აღნიშნულ საშუალებებს სოციალურ ინტერაქციაში. გარდა ამისა, ისინი ჩაერთვნენ აღნიშნული საშუალებების სწავლის პროცესში გამოყენებაში ექსპერიმენტის პროცესში. აღმოჩნდა, რომ ისინი მზად იყვნენ სოციალური მობილური ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩასართველად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია გამოყენებული მეთოდიკით და მათი აკადემიური მოსწრებაც შესაბამისად გაიზარდა - მათი დამოკიდებულება სწავლების მობილური მეთოდებისადმი მკვეთრად პოზიტიურია. ჩვენი კვლევის შედეგები დასტურდება ასევე სხვა კვლევებით (Wang, Shen, Novak & Pan, X. 2009; Shin & Kang, 2015).

- იმის მიუხედავად, რომ იშიკ უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველად გამოსცადეს მობილური სწავლა, ისინი მზაობას გამოთქვამენ, ასეთი სწავლება დაინერგოს მათ აკადემიურ აქტივობებში. მობილური სწავლა ან სოციალური მედია საშუალებების ჩართვა სწავლის პროცესში იყო ახალი იდეა, რომელიც გახდა მეტად პოპულარული მთელი ფაკულტეტის მასშტაბით იშიკ უნივერსიტეტში. შედეგად, სხვა ლექტორებმაც დაიწყეს Edmodo აპლიკაციის წარმატებით გამოყენება ისეთ საგნებში, როგორცაა გრამატიკა და აკადემიური დებატები. სტუდენტთა მოსაზრებებმა აჩვენა, რომ მობილური სწავლების გამოყენება და სოციალური მედია საშუალებების ჩართვა სწავლის პროცესში წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას ინგლისური ენის სწავლების კონტექსტში. რადგან სტუდენტებს უკვე ჰქონდათ მაღალი ხარისხის მობილური ტელეფონების გამოყენების გამოცდილება, მათთვის იოლი იყო

მათი ჩვერთვა სასწავლო პროცესში. მიღებული შედეგები თანხმობაშია სხვა კვლევებში მირებულ შესდეგებთან (Holotescu, 2014; Chen, 2013).

კვლევის შეზღუდვები

ქვემოთ მოცემულია ცატარებული კვლევის შემდეგი შეზღუდვები:

გამოკითხვაში ერაყელი სტუდენტების მობილური სწავლის თაობაზე მონაწილეობა მიიღო სულ რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტების არც ისე დიდმა რაოდენობამ.

ექსპერიმენტული კვლევა წარმოადგენდა მცირე მასშტაბის კვლევას, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი უნივერსიტეტით და ორი ჯგუფით. ექსპერიმენტულ ჯგუფში 26 და საკონტროლო ჯგუფში 25 სტუდენტი იყო. კვლევის მონაწილეები შერჩეულნი იყვნენ მხოლოდ ერთი კერძო უნივერსიტეტიდან (იშიკის უნივერსიტეტი, ერაყი), რაც არ იძლევა საშალებას, შედეგები განზოგადდეს სხვა, განსაკუთრებით, სახელმწიფო უნივერსიტეტებზეც. სოციალური მობილური სწავლა ახალი იყო ექსპერიმენტული ჯგუფისთვის. მასთან შეგუებას კი გარკვეული პერიოდი დასჭირდა; სტუდენტებს შეექმნათ გარკვეული პრობლემები, განსაკუთრებით Edmodo-ს გამოყენების საკითხში, ამიტომ, ექსპერიმენტი უფრო ხანრძლივი რომ ყოფილიყო, შედეგები შესაძლოა უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო.

რეკომენდაციები

საჭიროა, ჩატარდეს უცხოური ენებისა და სხვა სასწავლო კურსების მობილური სწავლის მეტი გამოკვლევა, რათა, ერთის მხრივ, დადასტურდეს და, მეორე მხრივ, გაიზარდოს მისი ეფექტურობა. მობილური სწავლის დანერგვა შესაძლებელიც და აუცილებელიცაა. განათლების პოლიტიკის შემქმნელები პასუხილმგებლები არიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილური სწავლის დანერგვაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებმა უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ დანერგონ სოციალური მობილური მედია სასწავლო პროცესში რაც შეიძლება მალე, რათა დააკმაყოფილონ სტუდენტთა მოთხოვნილებები.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

Yagci, T. (2014, November). Mobile Social Media Challenges Digital Natives In EFL Learning. *Journal of Educational and Instructional Studies*, 4(4), 49-53.

2. Yagci, T. (2015, April). Mobile Social Media in Higher Education & Implementation of "Edmodo" in Reading Classes. *6th International Visible Conference on Educational Studies and Applied Linguistics*. (pp. 436-442). Erbil: Ishik University

3. Yagci, T. (2015, May). Blended Learning via Mobile Social Media & Implementation of "EDMODO" in Reading Classes. *Advances in Language and Literary Studies*, 6(4), 41-47.

4. Yagci, T. (2015, June). Undergraduate Students' Relevance to Social Media Platforms and Their Attitudes to Mobile Learning: A case study in Ishik University. *International Journal of Social Sciences & Educational Studies*, 1(4), 34-46.

5. Yagci, T. (2016). Undergraduate Iraqi Students' Awareness of Social Mobile Media and Their Attitudes to Mobile Learning. *Journal of Education in Black Sea Region*, 1,1, 79-85